

Tempus & Erasmus Mundus

საქართველოში

1995 - 2013



Tempus

თბილისი 2014


რა არის Tempus

Tempus-ი ევროგაერთიანების პროგრამაა, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა და თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში. პროგრამა შეიქმნა 1990 წელს, ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ და მოიცავს დასავლეთ ბალკანეთის, აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის 27 ქვეყანას.

Tempus-ი ითვალისწინებს პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ევროპული სტანდარტების დანერგვას, თანამედროვე სასწავლო პროგრამების შემუშავებას, უახლესი სასწავლო ლიტერატურით მომარაგებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, უნივერსიტეტების მენეჯმენტის გაუმჯობესებას, საუნივერსიტეტო რეფორმას, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებას, უნივერსიტეტის ბაზაზე არაკადემიური კადრების მომზადებას და სხვა აქტივობებს.


დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ: <http://eacea.ec.europa.eu/tempus>

Tempus-ის პროექტები საქართველოში ხორციელდება 1995 წლიდან. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს შემუშავების მხარდაჭერით Tempus-ის პროგრამამ ხელი შეუწყო ბოლონიის პრინციპების წარმატებულ განხორციელებას.



სტატისტიკა

განაცხადებისა და დაფინანსებული პროექტების რაოდენობა მუდმივად იზრდებოდა, რაც ერთის მხრივ ასახავს პროგრამის ბიუჯეტის ზრდას, და ამავდროულად ქართველი პარტნიორების მზარდ ინტერესსა და მოტივაციას.



TEMPUS PROJECTS IN GEORGIA

Project Type	Tempus I&II	Tempus III	Tempus IV						Total
Year	1990-1999	2000-2006	2008	2009	2010	2011	2012	2013	
Joint Projects	5	16	3	3	4	4	10	14	59
Compact Projects	5	0	0	0	0	0	0	0	5
Structural & Complementary Measures (Tempus III)									
Structural Measures (Tempus IV)	0	3	0	1	1	1	2	5	13
Total	10	19	3	4	5	5	12	19	77


ცხრილი 1: Tempus-ის პროექტები საქართველოში


30 ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო) ცხრა ქალაქიდან (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი, ზუგდიდი, ახალციხე, ახალქალაქი და წნორი) მონაწილეობდა Tempus-ის პროექტებში ბოლო 18 წლის განმავლობაში (პროექტების სრული სია მოცემულია ვებგვერდზე www.tempus.ge და თანდართულ დისკზე). რეგიონული და კერძო უსდ-ების ჩართულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლებში.

საერთო ჯამში საქართველოს უსდ-ების 49% მონაწილეობდა Tempus-ის პროექტებში, რაც ევროკავშირის 27 პარტნიორ ქვეყანას შორის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. პროექტების უმრავლესობა განხორციელებულია რეგიონულ და კროს-რეგიონულ პარტნიორებთან ერთად.

პროგრამის ფარგლებში საქართველოს უნივერსიტეტები თანამშრომლობდა პარტნიორებთან ევროპის თითქმის ყველა ქვეყნიდან (მალტისა და ლუქსემბურგის გარდა). ყველაზე მეტი პროექტი განხორციელდა ბრიტანეთის (35 პროექტი), გერმანიის (27), იტალიის (21), საფრანგეთისა (20) და ესპანეთის (18) უნივერსიტეტებთან.

2001–2006 წლებში Tempus-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა ქართული უნივერსიტეტების პერსონალის 42 ინდივიდუალური მობილობა (ე.წ. Individual Mobility Grants – IMG).







გრაფიკი 1: წარდგენილი და დაფინანსებული Tempus IV პროექტები ქართული უსდ-ების მონაწილეობით




გრაფიკი 2: Tempus-ის პროექტების გეოგრაფიული განაწილება
 Tempus and Erasmus Mundus in Georgia |






გრაფიკი 3: უსდ-ების მონაწილეობა Tempus-ის ორ კონკურსში სამართლებრივი სტატუსისა და ადგილმდებარეობის მიხედვით



გრაფიკი 4. Tempus-ის პროექტები ევროპელ პარტნიორებთან



Tempus–ის პროგრამის გავლენა


საქართველოში Tempus–ის პროექტები 80%-მდე განხორციელებულია საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმის სფეროში, კერძოდ ისეთ დისციპლინებში, როგორცაა: ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია, მედიცინა, ვეტერინარია, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, მათემატიკა, ეკონომიკა, ტურიზმი, საინჟინრო მეცნიერებები, სამართალი, საჯარო მართვა, ევროპათმცოდნეობა.

ახალი კურიკულუმების შემუშავებამ ხელი შეუწყო საქართველოში აქამდე არარსებული პროფესიების გაჩენას, როგორცაა სოციალური მუშაკი და საინფორმაციო კვლევების სპეციალისტი. პროგრამები შემუშავდა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურისათვის და ასევე არაფორმალური განათლებისათვის. ECTS-ის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვამ დაახლოვა საქართველოს უნივერსიტეტების პროგრამები ევროპულ სტანდარტებთან. განახლებული პროგრამების დანერგვამ გაზარდა სტუდენტების რაოდენობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა ასევე მხარდაჭერილი იყო Tempus–ის პროექტებით. რამდენიმე პროექტი მიემდგვნა კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს შემუშავებას, ასევე სტუდენტთა მომსახურებისა და უნივერსიტეტების ადმინისტრირების გაუმჯობესებას, ზრდასრულთა განათლებისა და ელექტრონული სწავლების ხელშეწყობას.

მიღწეული შედეგების გათვალისწინებით გაიზარდა საქართველოს უნივერსიტეტების დაინტერესება და მოტივაცია, მიიღონ მონაწილეობა საერთაშორიო პროგრამებში პარტნიორებისა და კოორდინატორების ფუნქციით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი ქართული უსდ-ა, რომელიც Tempus–ის პროექტის კოორდინატორის როლს ასრულებს. ამჟამად Tempus–ის ექვსი პროექტის კოორდინატორია ქართული უსდ-ები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (3), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (2) და დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი (1).



Erasmus Mundus საქართველოში

Erasmus Mundus არის თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამა უმაღლესი განათლების სფეროში, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტებსა და ინდივიდუალურ სტუდენტებს, პროფესორებსა და მეცნიერებს.


დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ იხ. აქ:

http://eacea.ec.europa.eu/erasmus_mundus/


Action 1 – Erasmus Mundus ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები

Erasmus Mundus ერთობლივი პროგრამები ხორციელდება ევროპული და (2009 წლიდან) პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტების კონსორციუმების მიერ. პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს შეუძლია ისწავლოს კონსორციუმის წევრ ორ ან მეტ უნივერსიტეტში და მიიღოს ერთობლივი აკადემიური ხარისხი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი ქართული უნივერსიტეტია, რომელიც ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობს „რუსეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კვლევები“.

ყოველ წელს მსოფლიოს ყველა ქვეყნის სტუდენტს შეუძლია შეიტანოს განაცხადი Erasmus Mundus სტიპენდიის მოსაპოვებლად სამაგისტრო (EMMC) და სადოქტორო (EMJD) სწავლებაზე. 2012 წლის მონაცემებით 54 ქართველი სტუდენტი იყო Erasmus Mundus სტიპენდიანტი. Erasmus Mundus პროგრამა ასევე იწვევს პროფესორებს საგანმანათლებლო კურსების წასაკითხად. ბოლო მონაცემებით ხუთი ქართველი პროფესორი მონაწილეობდა პროგრამაში. სადოქტორო პროგრამებზე სწავლისა და კვლევის სტიპენდია ორმა ქართველმა დოქტორანტმა მოიპოვა.




ცხრილი 2.



Action 2 – Erasmus Mundus მობილობის პროგრამა

ეს პროგრამა გულისხმობს სტუდენტების (ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები), უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლას შერჩეული კონსორციუმის ფარგლებში. კონსორციუმში შედის ევროპისა და პარტნიორი ქვეყნების (საქართველოს) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ქართული უნივერსიტეტები 23 კონსორციუმში მონაწილეობდა 2007 წლიდან. ამჟამად 18 მოქმედ პროგრამაში 17 ქართული უსდ მონაწილეობს (11 სახელმწიფო და 6 კერძო უსდ) ექვსი ქალაქიდან (სრული სია მოცემულია ვებგვერდზე www.tempus.ge და თანდართულ დისკზე).




ცხრილი 3.

* დაგეგმილი მობილობა

Action 3 – Erasmus Mundus უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიმზიდველობა

ეს პროგრამა გულისხმობს ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის მიმზიდველობის, პროფილისა და ცნობადობის ხარისხის გაზრდას მსოფლიოში. აქტივობა ვრცელდება უმაღლესი განათლების ისეთ ასპექტებზე, როგორცაა განათლების ხელმისაწვდომობა, ხარისხის უზრუნველყოფა, კრედიტების აღიარება, კვალიფიკაციების ორმხრივი აღიარება, კურიკულუმის შემუშავება და მობილობა.

ქართულმა ორგანიზაციამ (ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო) ჯერჯერობით მხოლოდ ერთ პროგრამაში მიიღო მონაწილეობა 2005–2006



წლებში: „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მხარდაჭერა საგანმანათლებლო საკონსულტაციო ცენტრების ქსელის მეშვეობით“.


უმაღლესი განათლების რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში

საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის განხორციელებას Tempus-ი ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ექსპერტთა ეროვნული გუნდის მხარდაჭერის გზით. ამჟამად ჯგუფში ექვსი ექსპერტია.

უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტთა ჯგუფის ამოცანაა ლისაბონისა და ბოლონიის პროცესების განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფს კონსულტაციებს როგორც ეროვნულ, ასევე ინსტიტუციურ დონეზე. კონსულტაციებისა და საჯარო პრეზენტაციების გარდა, ექსპერტთა მუშაობის ერთ-ერთ ფორმატს წარმოადგენს ადგილობრივ და საერთაშორისო სემინარებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობა, რეკომენდაციების/გზამკვლეულების შემუშავება უმაღლესი განათლების რეფორმის კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში და შესაბამისი კვლევების განხორციელება/ზედამხედველობა.

პუბლიკაციების სია

- ✓ ერთობლივი პროგრამები და აკადემიური ხარისხები – ლალი ბაქრაძე (ქართულ ენაზე; 2009)
- ✓ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა უნივერსიტეტებში – ირინე დარჩია (ქართულ ენაზე; 2009)
- ✓ ხარისხის მართვა კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს კონტექსტში – სემინარის მასალები – ირინე დარჩია (ინგლისურ ენაზე, 2010)
- ✓ ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში - მიღწევები და პრობლემები – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნინო ჯავახიშვილი (კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი), (სრული ტექსტი ქართულად, მოკლე შეჯამება – ინგლისურად; 2010)
- ✓ სტუდენტთა მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნათია ანდლულაძე (კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი), (სრული ტექსტი ქართულად, მოკლე შეჯამება – ინგლისურად; 2010)
- ✓ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნინო ჯავახიშვილი (კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი), (სრული ტექსტი ქართულად, მოკლე შეჯამება – ინგლისურად; 2011)




- ✓ სადოქტორო განათლება საქართველოში – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნინო ჯავახიშვილი (კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი), (სრული ტექსტი ქართულად, მოკლე შეჯამება – ინგლისურად; 2012)
- ✓ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში – შემუშავებულია ექსპერტების ლალი ბაქრაძისა და ირინე დარჩიას მონაწილეობით (სრული ტექსტი ქართულად, მოკლე შეჯამება – ინგლისურად; 2013)

ექსპერტები ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის წლიური ანგარიშების შემუშავებაში (Georgia country fishes 2010 & 2012), და ეროვნული ანგარიშების მომზადებაში უმაღლესი განათლების ადმინისტრირებისა (2010) და ადამიანური რესურსების მართვის თაობაზე (2012).

ევროპელი ექსპერტები თბილისში

- ✓ უნივერსიტეტების სტრატეგიული განვითარება – სირეტ რუტიკუ & რიინ კრუზენბერგი, ტარტუს უნივერსიტეტი, ესტონეთი (2010)
- ✓ სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების შემუშავება და განხორციელება – იზოლდე ფონ ბიულოვი, მიუნხენის უნივერსიტეტი, გერმანია (2010)
- ✓ სახელოვნებო პროგრამების აკრედიტაცია – ჯაკო შისერი, ციურიხის ხელოვნების აკადემია, შვეიცარია / ACQUIN აკრედიტაციის ექსპერტი, გერმანია (2011)
- ✓ სამედიცინო განათლების თანამედროვე ტენდენციები – დევიდ გორდონი, ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის პრეზიდენტი, დიდი ბრიტანეთი (2012)
- ✓ სწავლის შედეგები - დიკლან კენედი, ბოლონიის ექსპერტი, კორკის უნივერსიტეტი, ირლანდია (2012)
- ✓ უნივერსიტეტების რანჟირება გერმანიაში – ტასილო შმიტი, ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია (2013)
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის ინტერნაციონალიზაცია – ჯოზეპ გრიფოლი, კატალონიის უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო, ესპანეთი (2013)

ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, საკითხავი მასალა, სემინარების პროგრამები და სხვა ინფორმაცია დაეგზავნა ყველა მონაწილეს და გამოქვეყნებულია ვებგვერდზე www.tempus.ge.



ჩვენს შესახებ

Tempus-ის ეროვნული ოფისის საქმიანობის მიზანია გაზარდოს პროგრამის ეფექტურობა და გააძლიეროს მისი გავლენა საქართველოში ევროკომისიისა და შესაბამისი ეროვნული სამსახურების მხარდაჭერის გზით.

კონკრეტული ამოცანები:

- ✓ პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და პოტენციური აპლიკანტების მხარდაჭერა;
- ✓ Tempus-ის პროექტების მონიტორინგი;
- ✓ ბოლონის პროცესის მხარდაჭერა (სემინარების, კონფერენციების ორგანიზება, კვლევების ჩატარება).

კონტაქტი

Tempus-ის ეროვნული ოფისი საქართველო (NTO Georgia)

კოორდინატორი: ლიკა ღლონტი (nto.georgia@gmail.com)

ასისტენტი: ნინო ურუშაძე (ninourushadze@gmail.com)

ოთარ ჩხეიძის ქ. 5, 0186, თბილისი, საქართველო

ტელეფონი: (+995 32) 2147139

მობილური: (+995 577) 453584

ვებგვერდი: www.tempus.ge

